

შინაური საქმეები

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 24.

კვირა, სექტემბერი 27, 1909 წ.

უასი წლიურად — — 4 მან.

„ნახევარი წლით — — 2 1/2 მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკით.

აღრისი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

შინაური საქმეები: სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა?—ნატარყანელისა; ღმერთი თუ ნივთიერება?—სანმანიანისა; საფუძვლიანი ხმები დასავლეთ ევროპაში კომუნისტურ სკოლის და სკოლაში სარწმუნოების დასაცველად; სასუფიველი ღვთისა—ე. ჩ.—ძესი; იროდიადი (თარგმანი ფრანგულიდან)—მაქსიმოძისა; კრიტიკა—ხომლელისა; კვირიდამ კვირობამდე.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაური საქმეები“

ხელის მთავარ მიიღებს რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთაძე—კახაკაიის შესახვევში № 17) და სუბსკრიბირების საბჭოში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ წლით 2 მ. და 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

ღარჩენს; №№ ახალი ხელის მომწ. დატ. 1 მ. და 50 კ.

სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა?

(რუსულიდან¹).

„მეცნიერება, თუ მას შეეხებთ მხოლოდ ტუჩებით, გვაშორებს ღვთისაგან; მაგრამ, თუ შევეცდით იგი დიდრონი ყლაპებით, გვაახლოვებს ღმერთთან.“

ბეკან ვერულამელი.

ქენლიქს ანროლდი ამბობს: „ჩვენ ვცდებით, როცა გვგონია, რომ შეგვიძლიან რაიმეს ქმნა ქვეყანაზე; ჩვენ ვართ მხოლოდ უნებლიეთი მაყურებელი ღვთისგან მოცემული სანახავეებისა“.

ბევრნი „ყოვლის უარის მყოფელნი“ ურია სპინოზას რაცხდნენ გამოჩენილ ათეისტად, ღვთის შეტყუებლების მეხის დამცემად. მაგრამ ეს ძლიერი დიალექტიკი, შლევრმახერის სიტყვით, „აღსავსე იყო სარწმუნოებრივი სულით და სარწმუნოებრივი გონობით და ამით ის იდგა განმარტოებული, გაუგებარი და ვერ ცნობილი“. მისი ეთიკის ძირითადი დებულებანი შემდეგია: „არის ერთი დაუბოლოვებელი სუბსტანცია, —ის არის ღმერთი-ყოველივე რაც კი არსებობს, არსებობს ღმერთში; მის გარეშე არაფრის წარმოდგენა არ შეიძლება. ის არის ერთად ერთი სუბსტანცია, ყოველივე სხვა კი არის მოღუსტნი“.

¹) იხ. „შინ. საქმ.“ № 21.

სტამბა

იმერეთის წმ. გიორგის სარწმუნოებად.

„მეობრისა“

ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირიშხევის სახლში, გუბერნატ. კანცელარიის ქვეშ, ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს.

სულ-მისაწოდებ ავსაშვი

ასრულებს სუფთად და თავის დროზე.



მოდუსი ვერ იარსებებს, იგი არის მიზეზი ყველაფერისა, მიზეზი სამულამო და არა გარდამავალი; მას აქვს ორი დაუსრულებელი თვისება: სივრცე და აზრი, ყოველივე საგანი არის მოდუსი ღვთაების თვისების აზრისა, ღმერთი არის *idea immanens* — ერთი და ყოველივე“.

ცნობილი **ლეიბნიცი**, რომელზედაც ფრიდრიხ დიდმა სიტყვა სამართლიანად, რომ ის წარმოადგენს მთელს აკადემიასა¹⁾, თხუთულებაში, „თეოდიცეა“, რომელიც ყველა ქვეყნების სარწმუნოებრივ-ფილოსოფიურ ლიტერატურას დაედო საფუძვლად, სწერს: „ღმერთი არის წყარო ყოფნისა და ცხოვრებისა. ის არის თითქოს ყველგან მყოფი „შუაგული“, რომელსაც აქვს პერიფერიები, რადგანაც მას ეკუთნის ყოველივე ამ შუაგულიდან დაუშორებელი. ღმერთი, როგორც უმაღლესი მონადა, არის საზღვარი, რომლითაც თავდება მიყოლილი და შეუწყვეტელი სამეფო მონადებისა. როგორც შემოქმედი, ის არის წყარო, რომლისგანაც ყოფნას ღებულობენ ყველა არსნი, ყველა მონადები. ის არის დასაწყისი და დასასრული ყოველივე არსებულისა, მოქმედი და საბოლოო მიზეზი (*causa efficiens et causa finalis*).

დეკარტი ასწავლიდა: „თუ მსოფლიოში არიან რაიმე სხეულები, გონებანი ან სხვა საგნები, რომლებსაც არ აქვთ სისრულე, მთელი მათი არსება უნდა იყოს დამოკიდებული ღვთის ძლიერებაზე, რადგანაც უმისოდ ისინი ერთს წამსაც ვერ იარსებებენ. დასასრულ, თუ კიდევ არიან პირები, რომლებსაც მოყვანილი საბუთები ვერ დაარწმუნებენ ღვთის და მათი სულის არსებობაზე დამოუკიდებლად ხორცთან, იცოდნენ მათ, რომ ყველა სხვა საგნები, რომლებიც, შეიძლება, მათ უფრო სწამთ, მაგ. რომ მათ აქვთ სხეული, რომ არიან ვარსკვლავები, მიწა და სხვა მსგავსი, — უფრო ნაკლებად სარწმუნოა“.

იოსტოს ლიბიხმა, ქიმიის პროფესორ-

¹⁾ ლეიბნიცი იყო იურისტი, ისტორიკოსი, მათემატიკოსი, ღვთის მეტყველი, ნატურალისტი, ფილოსოფი, დიპლომატი, ფილოსოფოსი.

მა ერთს თავისს სიტყვაში სიტყვა: „ნუ დავიწყებთ რომ ჩვენ ყველა ჩვენი ცოდნით და გამოცდილებით, ჩვენ მოქმედებასთან და სულიერ სიდიადესთან მაინც ბრმებად ვრჩებით და რომ მთელი ჩვენი ძალა მდგომარეობს უმაღლესს არსებასთან ურთიერთობაში“. შესანიშნავი ინგლისელი ქიმიკოსი **დაევი ბრწყინვალე** სწავლულობასთან აერთებდა ღრმა მორწმუნეობას. თხუთულებაში: **მანუგეშებელი აზრები მოგზაურისა, ანუ უკანასკნელი დღეები ბუნების მეტყველისა**“ დევი ქრისტიანობას ადარებს მაიაკს მშფოთარე ზღვაში, ანუ ოაზისს უდაბნოში. „სარწმუნოების მოქმედება, ამბობს ის, მეტსა სძლებს ქვეყნიურს ყველა სიხარულზე, ის ძლიერდება მაშინ, როცა ხორციელი ყველა ორგანოები სუსტდებიან და ხორცი უახლოვდება ხრწნილებას. სარწმუნოება მსგავსია მცხინვარე საღამოს ვარსკვლავისა ცხოვრების ჰორიზონტზე, რომელიც (ვარსკვლავი), მრწამსს, გაატარებს თავისს სხივებს სიკვდილის წყვდიადში და საიქიოს გახდება ცისკრის ვარსკვლავად“.

ვითომცდა ღვთისა და სარწმუნოების უარ-მყოფელ მეცნიერთა შორის დარვინის სახელს უქირავს პირველი ადგილი.

დარვინის თეორიაზე აშენებენ ძლიერს და ფანტაზიურს სიტყვებს, რომლებიც, ვითომც და ძირშივე, სპობენ სარწმუნოებას. მაგრამ დარვინი ძალიან შეწუხდა და შეძრწუნდა, როცა გაიგო, რომ მას უღმრთოებში რაცხდნენ და თავის წიგნის ბოლოში სწერს: „მე ვერ ვხედავ საბუთს, რომ ამ წიგნში მოთავსებული შეხედულობანი ვისიმე სარწმუნოებრივი გრძნობის შეურაცხყოფელნი იყვნენ“. დარვინის სიტყვით, არის დიაღობა ცხოვრებაზე შეხედულობაში მისი სხვა და სხვა ძალებით, რომლებითაც ის პირველად შთაბერვილ იქმნა შემოქმედისგან რაოდენსამე ან ერთს ფორმაში“. ამ რიგად, დარვინი სცნობს ღმერთს, როგორც პირველს მიზეზს ყოვლისავე არსისას, წინააღმდეგ მის მიმდევართა შორის გამეფებულ შეხედულობისა, რომლებსაც მისი თეორია (ჰიპოტეზა) მიაჩნიათ მეცნიერების ძირითად პრინციპად.

ლის შესანიშნავი ერთი ფაქტი მისი ცხოვრებიდან. როცა უოლდესი, მეგობარი და მოწაფე დარჯინისა, მივიდა ერთხელ თვისი დიდი მოძღვრის სანახავად, დარჯინის შინაურებმა უთხრეს, რომ ეხლა დარჯინი ლოცულობს და არ შეუძლიან მისი მიღება.

ი. მიუთლერი სწერდა თავის მეგობარს კარლ ბონეტს, რომელსაც მანამდე არ ეთანხმებოდა სარწმუნოებრივს შეხედულებაში: „ძველ დროთა შესწავლის დროს, მე ყოველთვის ვგრძნობდი რაღაც ნაკლს და მხოლოდ მაშინ, როცა ვიცანი უფალი (ახალი აღთქმის კარგად შესწავლით) ჩემთვის ყოველივე ცხადი შეიქმნა, მასთან ერთად ჩემთვის აღარაფერი არ არის აუხსნელი“.

ჰერბერტ სპენსერის თანამშრომელმა **რომანესმა** შეინარჩუნა რწმენა ევოლიუციისა, მაგრამ იმავე დროს განაცხადა, რომ „ეს ევოლიუცია არის დეისტური“, და ამტკიცებს, რომ იგი (ევოლიუცია) თავის უმაღლეს წერტილს აღწევს „ქრისტეს განხორციელებაში“. და რომ, როგორც კაცი წარმოადგენს ობიექტიურს მიზანს, რომლისთვისაც შრომობენ ბუნების ყველა პროცესები, ეგრეთვე ქრისტეც არის დამასრულებელი განცხადება ღვთის განცხადებათა მთელს წყებაში. ამ რიგად, დიდი მეცნიერი, რომელიც სულის წარმოდგომას იხილავს ევოლიუციური დოქტრინის თვალხედვითი ისრით, პატივის ცემით ქედს იხრის ქრისტეს წინაშე.

შესანიშნავი პროფესორი ფიზიკისა კემბრიჯის უნივერსიტეტში **დ. მაქსველი**, რომელიც ითვლება ყველა დროის უდიდეს ბუნების მეტყველად, იყო ღრმად მორწმუნე, ისა სწერდა: „მე გამოვიკვლიე ათეიზმის ყველა სისტემები და ვსცანი, რომ თვითველ მათ განის არსება გულისხმობს ღვთის არსებობას; მხოლოდ ამ სისტემების სწავლულნი შემქმნელი ბეჯითად ერიდებიან მისი სახელის ხმარებას“.

ცნობილმა ბოტანიკმა **ვიგანდმა** ანდერძად დასტოვა: „მსურს, რომ ჩემი საფლავის ქვაზე ამოტვირთი იქნეს სამოციქულო სიმბოლო, რადგანაც მე, ღვთის ძალით, მისი ყვე-

ლა მუხლები მწამდა და აღქურვილს კრიტიკული აღლოთი, რომელიც სინამდვილეს არ უქცევს გზას, მე არც ცხოვრებაში, არც მეცნიერულს შრომაში არ შემსვლია ექვი სიმბოლოს არც ერთს ნაწილზე და ამ სარწმუნოებაში მე ვპოვებდი ყოფნისა და დამწვიდების ყველა გამოცანათა ახსნას“,

ღრმად საყურადღებოა თანამედროვე უარის მყოფელთათვის ანდერძი სახელ განთქმული გერმანელი მედიკოსი **ქ. გუფელანდისა**, რომელიც თხოულობდა, რომ მისს საფლავზე შემდეგი დაეწერათ: „მე ვარ გზა, ქეშმარიტება და ცხოვრება. რომელსა რწმენეს ჩემი, მოღათუქვედეს, სცხონდესვე“. შეიღებს კიდევ ასეთი დარიგება მისცა: „იცხოვრეთ ღვთისნიერად, ყოველივე ჰქმენით მისი სახელით, მუდამ იქონიეთ იგი აზრებში და გულში. ილოცეთ და იზრომეთ, ხოლო დანარჩენი მიანდეთ განგებას, რომელიც ზრუნავს თქვენთვის“.

ამ გვარივე ღრმა რწმენით იყო გამსჭვალული ცნობილი ანატომი, ფიზიოლოგი და ქირურგი **ჩ. ბელლი**, რომლის აზრითაც „ჩვენს მნათობზე ფიზიკურს ცხოვრებას არ ექნებოდა დასრულებული აზრი, თუ რომ არ იქნება პირდაპირი დამოკიდებულობა კაცისა შემოქმედთან“.

ცნობილი ექიმი **გეიმა** თვისი მოქმედების დასაწყისში მიიქცა ღვთისადმი შემდეგი ლოცვით: „მომადლე მე, ღმერთო, გულისყური და მოთბინება, რათა კეთილ-სინდისიერად აღვასრულო ექიმის მოვალეობა ყოველი ავადმყოფის წინაშე, ვინც უნდა იყოს იგი. განაშორე, უფალო, ჩემი გულიდან ამაყობა, თავით თვისით კმაყოფილება, განუსჯელობა და ყოველივე სხვა, რაც არ არის საკადრისი თვითველი კაცისა, ნამეტნავად ექიმისათვის... სამძიმოა ექიმის საქმე! თვით შენ, უფალო, მიძღვ და განმამტკიცე მე, რომ არ დავეცე სულით, როცა ყოველივე ჩემი სურვილის თანახმად არ იქნება“ მთელი სიცოცხლე ამ სახელგანთქმული ექმისა სავსე იყო ქრისტიანული სიდიადითა და თავდადებულო-

ბით. წლის განმავლობაში მას ხუთასამდე უფოსო პაციენტი ჰყავდა.

ასეთივე იყო შოტლანდიელი გინეკოლოგი და ქირურგი ჯემს სამსონი. ცნობილი გერმანელი ანატომი იოსებ შირტელი (†1894წ.) ერთს თავის საქტო სიტყვაში ამბობს: „გააქრეთ ეს ზეციური ნათელი სწრწმუნოებისა და თქვენი სულის თავის მკვლევლობა ქვეყნის ბატონისგან გადაგაქცევთ თქვენ მხოლოდ მინდვრების გასაპოხიერებელ მასალად“.

დიდება გერმანიის ფსიხიატრიისა ალბერტ ფონცელლერი გამსჭვალული იყო ღრმა სარწმუნოებით და აწინდელს ცხოვრებას სთვლიდა მომზადებად მომავლისთვის. თვისი სარწმუნობრივი რწმენა მან მშვენიერად გამოხატა სარწმუნოებრივ ლექსთა კრებულში, რომელიც რაოდენჯერმე გამოიცა.

ფსიხოლოგმა და ნატურალისტმა შეუზერტმა დასწერა რაოდენიმე თხზულება სარწმუნოებრივს თემაზე. როგორც მაგ. „კაცი-მსგავსება ღვთისა“, „სეინდსი მოწმე ღვთის არსებობისა და საუკუნისა“, „ცხოვრება დაკვირვების საზღვართ იქით“ და სხვა.

ვ. გუმბალტს არ შეეძლო წარმოედგინა მსოფლიო ისტორია თეინიკრ მსოფლიოს მმართველისა. უდიდესი გეოგრაფი ახალი დროისა რატტერი, რომელსაც ყოველთვის თან ღჰქონდა ბიბლია, სწერს: „ჩვენ ტყუილად არ მოვსულვართ ამ ქვეყანაში, რომელიც ვეზნადებით სხვა ქვეყნისთვის“.

მათემატიკოსი გაუსსი ამბობს რომ თუ სული საუკუნო არ არის, თვით ხანგრძლივი ცხოვრებაც კი მსგავსია პენიანისა, რომელიც ეძლევა სასიკვდილოდ დასჯილს დ მნაშავეს.

ცნობილი დავ. ლანგვასტანა (გეოგრაფი, გეოლოგი, ბიოლოგი, მედიკი) იყო მორწმუნე და ერთგული მქადაგებელი საბარებისა აფრიკელთა შორის.

ტელერაფის გამომკონიშნულს სარწმუნოებით იწვევდა ღვთის სახელს თვის სამეცნიერო გამოკვლევებში.

ნაპარყანელი.
(შეძღვი იქნებ).

ღმერთი თუ ნივთიერება?

გუბლენი მთსწავლუ თაღზას.

არიან ადამიანები, რომლებიც, წინააღმდეგ კაცობრიობის ცნობიერობისა, ამტკიცებენ, რომ ხიოული ქვეყანა და ყოველნი არსნი ქიყანისანი დროთა განმავლობაში წარმოიშვნენ თავისთავილ, სხვისდა დაუზმარებლად, ეგრედ წოდებულ პირველყოფილ ნივთიერებისაგან, ან სხვანაირად მატერიისაგან. ასეთ ადამიანებს მატერიალისტებს ეძახიან, ხოლო მათ მოძღვრებას მატერიალიზმად სახელდებენ. დარბაისლად განვითარებულ ადამიანთა შორის ამ მოძღვრებას ძიელ ცოტა მომხრე ჰყავს, მაგრამ მით ხშირად გატაცებულნი არიან უბრალონი, უვიცნი რომლებსაც უნდათ თავი გამოიჩინონ, ბრკვენიადენ ახალი მოძღვრებით, თავი შეარაცხინონ ნაკიხ და განვითარებულ კაცებად. მაგრამ ჩვენ ნუ გამოვეყიდებით მათ, უნჯობესია გამოვერკვეთ რამდენათ მართალია ეს მოძღვრება; რამდენათ დახაკმაყოფილებელ პასუხს იძლევა იგი ადამიანის ძირითად საკითხებზე შესახებ მიზეზთა მიზეზისა, ან პირველ-მიზეზისა.

ჯერ გამოვერ ვეთ ცნებაში, თუ რა არის მატერია? საიდგან წარმოსდგა იგი და არის თუ არა ამ ცნების შესაბამი საფანი, ანუ უკეთ ესთქვათ იპოება თუ არა ისეთი სსგანი რომელსაც შეგვიძლია მატერია ვუწოდოთ?

მატერიალისტების განმარტებით, მატერია გახლავს ის პირველყოფილი ნივთიერება, რომლისაგანაც შემდეგ განვითარდა მთელი მსოფლიო; დედა მიწა თავის მორთულობით და ცის მნათობნი. მატერიალისტს რომ სიტყვა შეუბრუნოთ და ჰკითხოთ: რა არის ეს შენი პირველყოფილი ნივთიერებაო, ვერაფერს ვერ გეტყვის. და არც სათქმელი აქვს მატერიალისტი უარს ყოფს ყოველივეს, რაც ხუთი გრძნობით არ განიცდება და ამბობს: „ჩვენ თავში არაფერია ისეთი, რაც წინეთ ჩვენ გრძნობებში არ ყოფილიყოს“ ო. ე. ი. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით და მისი წარმოდგენა შეგვიძლია, რაც გვინახავს და გამოგვიძლია

ნენი გრძნობებს შემწეობით. აქედან თავისთავად ცხადია, რომ რაც არ გვინახავს, რაც არ განგვიცდია, მისი წარმოდგენაც არ შეგვიძლია, მაშასადამე არც ცნება შეგვიძლია ვიქონიოთ მათზე. პირველყოფილი მატერია, რა თქმა უნდა, არავის განუცდია და სხვათა შორის მატერიალისტებსაც, რომლებსაც ამიტომ უფლებაც არა აქვსთ ილაპარაკონ მატერიაზე, როგორც ისეთ საგანზე, რომელიც არ განუცდიათ, არ განუხილავსთ. მაშ საიდან შეთხზეს ეს ცნება მატერიალისტებმა?

გამოჩენილი ენათ მეცნიერი და ისტორიკოსი, ოკსფორდის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი მაკს მიულერი ეკითხება მატერიალისტებს: „სად არის მატერია? სად გინახავთ იგი? თქვენ ხედავთ ხეს: მუხას, ცაცხვს, ხედავთ შიფერს, გრანიტს, ხოლო მატერიას ვერსად ვერ ხედავთ. აღამიანი მატერიად (მასალად) უწოდებდა ყველაფერს, რისგანაც რასმე აკეთებდა; სიტყვა materia პირველად ნაშნავდა მხოლოდ საშენ მასალას, რომლისგანაც აშენებდნენ სახლებს. აი მთელი სიბრძნე მატერიაზე. იგრა ხე შენობისათვის — ხე მუხის, ფიქვს, წიფლის, რომელიც განდაგანაყენეთ რამდენიც გენებოსთ, გააზოგადეთ, გარდა ხისა და ხისა ვერაფერს ვერ მიიღებთ.“*) აქედან სჩანს რომ მატერია, როგორც პირველ ყოფილი ნივთიერება, ყოფილა უმნიშვნელო, უშინაარსო სიტყვა, სიტყვა რომელსაც არ ჰქონია ნამდვილი შესაბამი საგანი. ამასვე ამტკიცებს პროფ. ბაკუნინი, როცა ამბობს შემდეგს: „მატერიაში არ არის აღვნიშნული თვით მატერიისთვის; რადგანაც იგი თავის თავში არ იშუოვება, არ იტყვა, ამიტომ იგი თავისთვის ვიგინდარი, გარეშეა, ან სრულებით თვითონ არ არის, სრულებით მატერია არ არის, არამედ რაღაც სხვა, რაც მხოლოდ გვკონია, გველანდება, ვდებულობთ და ვსაძებთ მატერიად, მაგრამ ნამდვილად მატერია არ არის. ამ ორი პროფესორის სიტყვა სრულიად სკამარისია, რომ მატერიალისტებს ვუთხროთ: მატერია თავისთავად, წმინდა მატერია, როგორც პირველყოფილი ნივთიერება, არ არსებობს, იგი მხოლოდ თქვენი ფიქტია და თუ სახელი დაგირქმევით და ცნება შეგიდგენიათ ეს იქიდან, რომ უმასალოთ, უმატერიოთ არაფერი კეთდება, და ამ მასალას კი ყოველთვის მატერია ერქვა. აქ ცნების სესხებაა მხოლოდ და არა მისი კერძოთ შემუშავება რაიმე საგნის ზეგავლენით გამოწვეული, რომელიმე რეალურ ნივთზე აღმოცენებული. ასეთი ცნების შედგენა ისეთ საგანზე, რომელსაც აღამიანი ვერ განიცდის გრძნობების საშუალებით წინააღმდეგია მატერიალისტების პირიციპისა და როგორც ასეთი იგი უკვე დოღმაა, რწმენით მღებული ქეშმარიტება, რაც თავისთავად ვერ ეკერება მატერიალისტების მოძღვრება.

სანმანანი.

საუზმდღისანი ხმები დასავლეთი ევროპაში კონფესიურ სკოლის და სკოლაში სარწმუნოების დასაცვლად.

(რუსულიდან)

I.

რას ამბობენ გამოჩენილი სახელმწიფო კაცები, პედაგოგები, სწავლულები, პოეტები, მწერლები და სხვანი სარწმუნოებისა და კოფესიური (სარწმუნოებრივი) სკოლის შესახებ.

სარწმუნოება და ზნეობა არიან უცვლელბელი საფუძვლები საზოგადოებრივი კეთილდღეობისა, ყოველი ქეშმარიტი პოლიტიკოსი პატივს სცემს მათ და უყვარს ისინი, ისევე, როგორც კეთილ მსახურს კაცს. გონება და განცხადება გვიმტკიცებენ, რომ უსარწმუნოებოდ ვერ იხეირებს ზნეობაც.

გ. ვაშინგტონი თავის თანა მოქალაქეთა გამოსათხოვარს სიტყვაში.

უსარწმუნოებო ხალხის მართვა შეიძლება მხოლოდ ზარბაზნებით.

ნაპოლეონ I.

სარწმუნოებრივი აღზრდა არის ერთი ზენი უძვირფასესი უფლებათაგანი. შე ვთხოვლობ, რომ ყოველს აღზარტებს შეეძლოს აღ

*) Max Müller, O materiaლზე.

ზარდოს ყრმები თანახმად თავიანთი რწმენისა და არა სამარცხვინო სისტემით საზოგადო სარწმუნოებრივი აღზრდისა, რაც ჩვეულებრივია ბევრს სკოლებში.

ინგლისის მინისტრ-პრეზიდენტი ლორდ **სალისბერი** ნიუპორტში კრებაზე, ინგლისში.

დროა, რომ თეორიები გაჩუმდნენ ფაქტების წინაშე! არ არის სწავლება თვინიერ აღზრდისა, ზნეობისა, სარწმუნოებისა! იმ დროიდან, როცა მოუფიქრებლად გამოაცხადეს, რომ სკოლაში სარწმუნოებაზე ლაპარაკი აღარ შეიძლებაო, მასწავლებლები სადაც უდაბნოში ჰქადაგებენ. ბავშვებმა აღარ იციან ღმერთი, სამართლიანი და უსამართლო, აქედან არიან ველური, ბარბაროსული ჩვეულებანი, ველური ხალხი

მთელი საფრანგეთი ეხვეწება სარწმუნოებას, შეეწიოს ზნეობას და საზოგადოებას

დიდი სახელმწიფო მოღვაწე და იურისტი **პორტალესი** სიტყვაში ვოლტერის შვილის და კონვენტში მონაწილეთა შესახებ.

მე არ მინდა ნეიტრალი მასწავლებელი. მე არ მინდა ის მიტომ, რომ პატივს არა ვცემ მას. რწმენის საკითხებში ნეიტრალიობა არის ყველაზე უსაძაგლესი ქვეყანაზე ვინ არის თქვენი მასწავლებელი? აქვს მას რწმენა თუ არა? თუ აქვს, იგი მას მალავს; და ნა ამისთანა პირებს აბარებთ თქვენს შვილებს? ხოლო თუ მას არა აქვს რწმენა, მე იგი მებრალეობა... ნეიტრალი სკოლა არის უპატიოსნო სკოლა: ან სულ არა აქვს მას პატიოსნება, ან თუ აქვს, უნდა რცხვენოდეს თავისი თავისა.

ფრანციელი სახელმწიფო მოღვაწე **ჟიულ სიმონი**, მეცნიერების აკადემიის წევრი, 1870—73 წ. საერო განათლების მინისტრი, 1875 წ. საერო კრებისგან ამორჩეული სენატორად, სიტყვაში დეპუტატთა პალატის წინაშე 1886 წ.

არ არის ნამდვილი ძალის მქონე ზნეობა, გარდა იმ ზნეობისა, რომელსაც სწამს ღმერთი და რომელსაც საფუძვლად აქვს სიყვარული ღვთისა და შიში ღვთისა; ეს არის ქრისტიანული ზნეობა, ზნეობა ცივილიზა-

ციისა, ხოლო ყოველივე სვეა მიგვიყვანს ჩვენ ბარბაროსობამდე.

ფრანციელი პოლიტიკოსი **პიერ შარლ შესნელონი** 1865—70 წევრი დეპუტატთა პალატისა, 1876—სენატორი, სწავლების თავისუფლების და კათოლიკეთა კავშირების დასაცველს სიტყვაში.

სკოლური განათლება უსარწმუნოებოდ არის მხოლოდ საშუალება დანაშაულობის ჩასადენად.

დაპარსებელი თანამედროვე სტატისტიკისა თხუზულებში **Pisigne social** გამ. II. 1862 წ. გვ. 278.

არა მგონია რომ არსებობდეს უფრო საიმედო საშუალება, ან უფრო სწორი საზომი ერის ცივილიზაციისა, გარდა იმ საზომისა, რომელიც არის ის ხარისხი, სადაც წმიდა ზნეობის მოთხოვნილებებს მხარს უჭერს სარწმუნოება და გადახლართულია სარწმუნოებრივ მოძღვრებასთან.

ანტროპოლოგი ვაიცი.

ყოველი სწორედ გამსჯელი კაცი, რა ზნეობისაც უნდა იყვეს, ვერ უარყოფს იმას, რომ მცირე წლოვან დაშნაშვეთა რიცხვის გამრავლება დაკავშირებულია უსარწმუნოებო სწავლის შემოღებასთან. ყმაწვილ კაცობას წაართვეს სარწმუნოებრივი იდეალები და მათთან ერთად ყველა სხვაც — სამშობლოს სიყვარულიც კი. რომ ბოროტება უმეტესად არ გავრცელდა, ამაზე უნდა უმაღლოდეთ კათოლიკეთა თავისუფალს სკოლებს, საცა ზრდიან მცირე, მაგრამ რჩეულ რაზმს ღვთის მოშიშ და მორწმუნე ზნეობიან კაცთა.

გილიო, სასამართლოს გამომძიებელი პარიზში.

საფრანგეთი ჩქარი ნაბიჯით მიდის დაღუპვისკენ; უმთავრესი მიზეზი წარმატებული გადაშენებისა არის სწავლება უღვთოდ.

სენის დეპარტამენტის ვეჭილი **ბონჟანი**.

უდიდეს დანაშაულობას ჩადიან ეხლა მეტ ნაწილად ყმაწვილი კაცები. და ბუნებრივად არის ეს. ყრმა, რომელსაც ღვთის არ ეშინიან და თავის ვნებებს მისდევს, ყველაფერს იზამს.

კრიუპნი, სასამართლოს მოხელე სკრანელაში.

ჩვენ დავიბადენით ქრისტიანულ შეხედულობათა საფუძველზე, მაზედ აღვიზარდენით და მას ვერ გადავცდებით დაუსჯელად. არც ფილოსოფიურს გონებას, არც ხელოვნებას და ლიტერატურულს კულტურას, არც ფეოდალურს, სამხედრო და რაინდულს პატიონებას, არაგვარს კოლექსს, არაგვარს ადმინისტრაციას, არაგვარს მართებლობას არ შეუძლიან გასწიოს მაგივრობა ქრისტიანობისა მისი მსახურებით. მხოლოდ მას შეუძლიან შეგვაჩეროს ჩვენ ბუნებითს დაღმართზე, უგრძნობელად შეაყენოს ჩვენი თავქვე სვლა, რომლითაც შეუწყვეტელად, მთელ—თავის სიმძიმით ჩვენი რასა ქვეით და ქვეით მიდის და ძველი სახარება ეხლაც რჩება საზოგადოებრივი ინსტიტუტის საუკეთესო დამხმარედ.

იპოლიტე ტენი.

ყოველივე აღზრდა, რომელიც არ არის დაფუძნებული სარწმუნოებაზე ართმევს კაცს მისს ღირსებას და საუკეთესო შემთხვევაში ჰქმნის მას გონიერ ცხოველად.

ემემარტენი, ფრანგი მწერალი.

სახელმწიფო არც ვალდებულია და არცა აქვს უფლება ასწავლოს სარწმუნოება, ან აიძულოს და მისი სახელით ასწავლებინოს იგი. მაგრამ უფლების უქონლობა არ ნიშნავს გულგრილობას. თუმცა სარწმუნოება არ არის საქმე სახელმწიფოსი და მთავრობისა, მაგრამ მათ მაინც უყურადღებოდ არ უნდა დასტოვონ ფასი და სიღიაღე სარწმუნოებისა; პირიქით, ისინი ვალდებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ამას და მისცენ სარწმუნოებას შესაფერი ადგილი. თავისუფალს ქვეყანაში სარწმუნოებრივ ზნეობრივი აღზრდა უფრო საჭიროა, ვიდრე სხვაგან სადმე; ის, პირველად ყოველისა იმაში მდგომარეობს, რომ ზნეობრივი საფუძვლები და დისციპლინა ბავშობიდანვე მტკიცდებიან გულში. ამის მისაღწევად კი საჭიროა გავლენა სარწმუნოებისა; იგი მჭიდროდ დაკავშირებულია ზნეობასთან, რადგანაც მხოლოდ ის აძლევს ზნეობას დასტურს

და მიზანს, რომელიც ქვეყნიურ ცხოვრების საზღვარს იქითაც კი მიდის.

ფრანციელი მწერალი და პოლიტიკოსი **ფრ. პ.—გიზო (1784—1874), 1832—37 წ.** საერო განათლების მინისტრი.

სარწმუნოებრივო ზნეობრივ განათლებას უნდა დაექვემდებარენ სწავლების ყველა სხვა საგნები. განსაკუთრებითი სწავლება სარწმუნოებისა სრულიად არ არის საკმაო. მხოლოდ გონებრივი განათლება, რომელსაც მარტო თავისი იმედი აქვს და რომელიც არ არის დაკავშირებული სარწმუნოებასთან, ხდება ცრუ პრინციპად და მიყავს კაცი უზომო თავმოყვარეობასა და ამბოხებისკენ; ამიტომ იგი ძალიან საშიშია კაცობრიობისთვის.

გიზო, სიტყვაში დეპუტატთა პალატაში.

ვინც არღვევს სარწმუნოებას, ამ უძვირფასეს და უკეთეს ქონებას მცირე კაცთა, ის მოქმედობს როგორც მტერი საზოგადოებისა.

ტრეიჩე ლიბერალთა პარტიის წინამძღოლი გერმანიაში.

თუ ღრმად ჩაუყვირდებით საქმეს, უნდა ითქვას, რომ საზოგადო სკოლები აუცილებელი ბოროტებაა იმ სარწმუნოებით არეულს საზოგადოებაში, რომელშიც ცალკე აღსარების მიმდევარნი არ არიან ისე ძლიერნი, რომ იქონიონ თავისი საკუთარი სკოლები. მაგრამ გამოცდილება გვაჩვენებს, რომ საზოგადო სკოლებში ისე კარგად არ არის დაყენებული სწავლება, როგორც კონფესიურებში და თუმცა კი ამტკიცებდნენ, რომ საზოგადო სკოლები ხელს უწყობენ სარწმუნოებრივს მშვიდობასაო, მაგრამ ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ისტორიის საზოგადო სკოლები უფრო აღძრავენ სარწმუნოებრივს სიძულილს, ვიდრე კონფესიურები.

ტრეიჩე ლექციებში პოლიტიკის შესახებ.

ყოველი ცოდნა, ყოველი განვითარება თვინიერ კეთილ-მსახურებისა უფრო სახარალოა, ვიდრე სასარგებლო და შეიძლება ბოროტად მოხმარებულიც იქნას.

(შემდეგი იქნება).



სასუფეველი ღვთისა*).

„მოვედინ სუფევა შინი“.

დღე; ადამიანის გული იყოს საზიზღარი ზნეობრივად, მაგრამ იმაში, თუ ბეჯითად მოცდებით, ვიბოვნით ერთს კი არა, ერთ მუქა იშვიათად მოციმციმე მარგალიტს. ამისთვის მაცხოვარიც ამბობს: „ეკრძალენით ნუ უკვე შეურაცხყოთ ერთი მცირეთა ამათაგანი. (მან. 18 თ. 10 მ.) თუ საჭირო შრომის და ცოდნის მეოხებით მიღების და არხის გაყვანით საფლობ ქაობებს აბიბინებულ ყანებად ვაქცევთ და მზისაგან გახრიოკებულს ქვეყანას მორწყვით კულტურულ ქვეყნად ვაკეთებთ, ნუთუ მოყვასის სულზე შესაფერი მუშაობით ასეთსავე შესაფერ ნაყოფს ამ ნაწილში ვერ მივიღებთ. დიდებული მექანიკოსი არქიმედი ამბობს: „მომეცით მე დასაყრდნობი წერტილი ჩვენი პლანეტის გარეშე და დედამიწას გადავაბრუნებ“-ო. სახარებაც ასე ამბობს: მომეცით მე ადამიანის გული სიმართლისა და ადამიანისადმი სიყვარულით გამსჭვალული და შეგიცვლით თქვენ ზნეობას, ჩვეულებებს და ძნელ სოციალურ ცხოვრებასო“.

თანამედროვე ინტელიგენტური მასის ზნეობრივი განვითარება განსაცვიფრებელად უკან ჩამორჩა გონებრივ და ესტეტიკურ განვითარებას. საკვირველია, როგორ ცოტა ყურადღებას ვაქცევთ იმ საშინელ განსხვავებას, რომელიც არის ერთი მხრით გონების და ხელოვნების სწრაფად აღორძინების და მეორე მხრით ზნეობრივ განვითარების სრულ უმოძრაობის შორის. რომ მეტი არ ვსთქვათ, ჩვენ სიბრაღის ღიმილით ვუცქერით საშვალო საუკუნოების სხოლასტიკას აღტაცებული ვართ რაფაელის ხელოვნებით, რუბენშტეინის და სარასატეს ვისტოუზობით, გარმონიკას და სუზდალის ხატების მკლანდებებს ჩვენ ვთვლით ძველ უკულტურო დროის ნაშთად, იმავე დროს თავს ზნეობრივ შეხედულებაში კმაყოფილი ვართ და ხელვმძღვანელობით ძველ წარმართთა „ძალამომრეობით“. ჯერ დიდი ხანი არ გასულია, თითქმის ამ დღეებში გავიგონეთ,

*) იხ. „შ.ნ. საქმ.“ № 22.

რომ გეტეს და კანტის ნაციის სამეფო წარმომადგენელი გზავნიდა ძმას წარმათებთან აბჯარ მოსილი კრივით სახარების დასაცველათ ამას იქით წასვლა აღარ შეიძლება. იესო ქრისტემ საქადაგებლათ რომ წარგზავნა მოწაფეები უთხრა: „აჰა მე მიგავლინებ თქვენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა; იყავით უმანკო, ვითარცა ტრედნი“-ო (მათ. 10 თ. 16მ.). თანამედროვე თავისებურ მოციქულებრივ მსსიაში ცხოვრები შესცვალეს ჯავშნიან გემებზე და მტრედთ კრუპის ნაწარმოებზე. ეხლანდელი კულტურული ქვეყნის დამახასიათებელია ასეთი უგვანო მოპყრობა და დამახინჯება ქრისტეს ძირითადი მცნებისა. გადაავლეთ გოგირდის სიმეჟავე სიკსტინის მადონანს, როგორც ეს უქნეს ვერეშაგინის ერთ სურათს ვენაში, დაამტვრიეთ აპოლონ ბელვერდერის ან მილოსის ვენერის ქანდაკებანი, დაანგრეთ ვატიკანი და ნახავთ როგორ აღშფოთდება და როგორ შეძწრუნდება მთელი განათლებული ქვეყანა ასეთი ბარბაროსობით! როგორ ქეჟა მებს მიყრიდა ახალ ჰეროსტრატს. უმაღლესი სიმართლის და სიყვარულის თავხედი შეურაცხყოფა კი მთელი ქვეყნის წინაშე უქმი ყბედობისთვის არავის სინდისს არ აწუხებს, არ უძრავს ზნეობრივ აღფოთებას ხოლმე, მხოლოდ უკეთესს შემთხვევაში იწვევს მხრების აწევას. ნუთუ ეს არ არის დაბეჯითებითი დამტკიცება ჩვენი კულტურული მასის ზნეობრივი სიჩლუნგისა? ძაშისადამე, კაცობრიობის მთელი მასსა ეხლაც ჯერ კიდევ შორს არის ღვთის სასუფეველიდამ, ამიტომ საჭიროა ქრისტეს სულით გამსჭვალულნი მუშაკნი, რომ გაიტაცოს მასსა თავისკენ და გაურკვევის იმას ცნობიერებაში სახარების ცხოვრების მომზილაობა.

სიყვარული, რაც შეიძლება მეტი სიყვარული! დადადებს სახარება,—სიყვარული მოყვასისადმი და ცხოვრებაში სიმართლისადმი ღვთის სასუფეველს დედა მიწაზე საფუძველი აქვს, მაგრამ ადამიანთა ურავლესობისაგან დაფარულია სიცრუის, ძალ-მომრეობის და თავმოყვარეობის სქელი ფარდით. დეე უანგარო და თავგანწირული სიყვარულის მუქე გაფან-

ტოს იმათ წინ ეს წყვილია. დეე უანგარო და თავგანწარული სიყვარულის მზემ გაფანტოს იმათ წინ ეს წყვილია. დეე, იმათი ცხოვრება, ვინც ქრისტიანებად ცნობილობენ თავის თავს, იქნეს წარმტაცებელ მოთხრობათ სახარების სიმართლის მომხიბვლელ იდეალზე, აღტაცებულ ჰიზნად ღვთის სასუფეველზე, მაშინ ის გაიტაცებს თავისთან გულით ჩამორჩენილთ ისე, როგორც მოგზაურთა ცოცხალი მოთხრობა მათ მიერ ნახული ქვეყნების შესანიშნავ სიმშვენიერზე, უკიდო ზღვებისა და მთების წმინდა ჰაერის მადლიან მოქმედებაზე და იმ ქვეყანათა ცხოვრების ბრძნულ მოწყობილებასზე გაიტაცებთ ხოლმე ჩვეულებრივად უმოძრაოთაც.

ასეთი შრომა სახარების ნიადაგის მოსამზადებლად, გარეშემორტყმულ წრეში ახსნა, თუ რა არის ღვთის სასუფეველი, გამტაცებელი ინტერესების აღძვრა იმისადმი მით უფრო მიუცილებელი საჭიროა, რომ ქრისტეს ქადაგების გარდა მონანების საშუალებით ღვთის სასუფეველის მოახლოვების შესახებ, არსებობს კიდევ სხვა მოძღვრება ოქროს საუკუნის, საერთო კმაყოფილების მიღწევის შეძლების შესახებ ძირითადი საზოგადოებრივი ყოფა-მდგომარეობის გარდაქმნის მეოხებით გარეგანი კანონმდებლობითი (მშვიდობიანი ანუ ძალმომრეობით რევოლუციონური) გზით. ასეთი მოძღვრების მომხრენი ამტკიცებენ, რომ საქმაოა გამოცევალოთ კანონები, აღვაშენოთ საზოგადოება ახალ, იმათ მიერ შემუშავებულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძველზე და ადამიანები კი თავის თავათ გამოიცილებიან; სოციალურ წარმატებას თან მისდევს ზნეობრივი გაუმჯობესებაც. მოკლედ რომ ვსთქვათ, სიმძიმის ცენტრი ადამიანის შინაგანიდან გამოაქვთ გარეთ. იმათი აზრით ადამიანი ან იმის ზნეობრივი პიროვნება კი არ განსაზღვრავს გარეშემორტყმულ ცხოვრებას, არამედ, პირიქით ცხოვრების გარეგანი პირობები; პოლიტიკური უფლებები, ეკონომიური დამოკიდებულება აყალიბებს მოქალაქეთა ამა თუ იმ ტიპს. იგინი ამბობენ, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან ბუნებით ცოტათ განსხვავდებიან.

იმათი ერთმანეთისაგან განსხვავება დამოკიდებულია იმათ აღზრდის და ცხოვრების პირობების ქსედადსხვაობაზე, ნამდვილათ კი ადამიანების დაბადებიდან თანდაყოლილ ჯიშში სულაც არ არის ისე დიდი განსხვავება, როგორც ჩვენ გვგონია განსხვავება იმ ადამიანებს შორის, რომელნიც ერთი მეორეს მოპირისპირე საქმეები ეწევათ, მაგ., ფილოსოფოსსა და უბრალო მუშას შორის უფრო ნაკლებად დამოკიდებულია იმათ ბუნებისგან, ვინემ აღზრდისა და იმ პირობებისგან, რომელშიდაც იგინი იმყოფებიან. ამიტომ თუ ყველა ადამიანებს ჩავაყენებთ ერთნაირ ცხოვრების პირობებში, ბავშობიდან გარეშემოვარტყამთ იმათ ერთნაირ მოწყობილებას, მაშინ მთელი კაცობრიობა შეიქნება ისეთი, როგორიც ესაა არის რჩეული უმცირესობა.

(შემდეგი იქნება).

ი რ ო დ ი ა დ ა .

გ უ ს ტ ა ვ ფ ლ ო ბ ე რ ი ს ა
თარგმანი ფრანგულად.
(დასასრული 1).

V.

ახლგაზრდა ქალი ვინმე შემოიქრა დარბაზში.

მტრედის ფერ ვუალის ქვეშ, რომელიც ჰფარავდა მის სახესა და მკერდს, ოდნავ მოსჩინდა გადამწყაზრული კობტა წარბები, მისი ხორცის სითეთრე და ქალკილონის ძვირფასი ქვების საყურეები. მას წელს ერტყა ოქროს ქამარი; ოთხ-კუთხი ორ-ფერი აბრეშუმის ნაქსოვი ჰფარავდა მის ბეჭებს. შავი შალეარი მანდრაგორის სახით იყო მოქარგული. იგი დაზარებითა და უდარდელათ მოაბიჯებდა პაწაწინა ფეხებს, რომელსაც მოსაედა საშოთხის ჩიტის ბუბულისაგან ნაქსოვი საცმელი.

როცა ტრიბუნის უუმაღლეს მწვერვალს მიადწია, მან მოიხადა პირსაფარი. ვისაც კი ყმაწვილობაში ენახა იროლიადა, იტყოდა,

1) იხ. „შინ. საქმ.“ № 23.

რომ ეს ქალიშვილია მისიო. იმდენათ საოცარი იყო მსგავსება დადა-შვილის, მან დაიწყო ცეკვა...

იგი მწყობრათ და მოხდენილათ აყოლებდა ფეხს საკრავების ხმას. მისი ფიქალი მკლავების რხევა თითქოს ვილაცას ეძახდა, იწვევდა და ეს ვილაცა კი გაუბრბოდა მას, არ ეკარებოდა. პეპელასებურ ციმციმით იგი განუწყვეტლივ თან სდევდა მას, ვით ფსიქვა, ცნობის მოყვარობისაგან ანთებული, ვით აჩრდილი უცნობი სულისა, და, გეგონებოდა, აჰა სადაცაა გაფრინდებოა.

სატკაცუნოს ხმები სამგლოვიარო საკრავის ხმამ შესცვალა. წამს წარმტაცი მხიარულების ალაგი უნუგეშო კმნურვარებამ; მოიცვა ქალწულის თვითეული მიხრა-მოხრა აშკარათ გამოხატავდა ამ სევდიანობას.

იგი მთლათ წარიტაცა მოწყენილობის სულმა, ასე რომ ძნელი გამოსაცნობი იყო, რა უფრო აღონებდა მის ნორჩ გულს: მისი ღმერთის განშორება, თუ მასთან ალერსი. ნახევრათ თვალ მოხუჭილი, იგი საუცხოოდ არხევდა ღერწამივით ჩამოსხმულ ტანს და პატარა კოკობი ძუძუები ოდნავ ინძრეოდენ — სახე კი მუდამ უცვლელი რჩებოდა.

ვიტელიმ პანტომიმა მნესტერს შეადარა იგი. ავლი კი ისევ არწყევდა. ტეტრარქი იჯდა გაქვავებულივით და ფიქრებიდან ვერ გამოკვეთილიყო. მას უკვე გადააფიწყდა იროდიადა. მხოლოდ წუთით კი მოეჩვენა, ვითომ იგი სადუკვევლათ მიუახლოვდა... მაგრამ ეს მოჩვენებაც გაჰქრა.

იროდიადამ განგებ მოაცილა ახალგაზრდა სალომე მაქერუზს და სწავლაში მისცა იგი იმ იმედით, რომ ტეტრარქს უფრო შეყვარებოდა ქალიშვილი. იგი არ მოტყუვდა, ეხლა ეს ექვს გარეშე იყო.

მაგრამ, აჰა, ცეკვა ხელახლავ დაიწყო. ეს იყო თავ-შეუკავებელი ლტოლვა სიყვარულისა, რომელიც დაკმაყოფილებას ეძებდა. იგი ცეკვავდა ისე, როგორც ინდოელნი ქუ-

რუმნი, ვით ნუბიელნი მდინარე ნილოსის პირათ. იგი საშინელი სიციქვით იხრებოდა იქით-აქეთ, ვით ქარისაგან ნარხუვი ყვავილი. ბრწყინვალე საყურენი ფარვანასავით ციმციმებდენ სანთლის შუქზე, მსუბუქი სამოსელი ათას ფერათ ღელავდა მის ტანზე; ყოველი ნაწილი მისი ტანისა: ხელები, ფეხები, მკერდი იდუმალ მომხიბლველ ნაპერწყლებს ისროდენ და ვნებათა ღელვით ანთებდენ მაყურებელთა გულს. სადღაც, დარბაზის სივრცეში ჩანგურს ჩამოჰკრეს და გრძობაში მოსულმა ბრბომ ტაშის კვრით დაჰფარა მისი ნაღვლიანი ჟღერა. ხოლო სალომე ისევ ცეკვავდა... მან მუხლ მოუხრელათ გაშალა ფეხები და დაიხარა, დაიხარა იმდენათ, რომ მისი ნიკაპი იატაკს ეხებოდა და—მთელი ეს ხალხი: მწყემსნი, კრძალვას ჩვეულნი, რომის ჯარის კაცნი, გარყვნილებასა და ნებივრობაში აღზრდილნი, ძუნწი მეზვერენი, ბებერი, მუდამ კამათში დამხრჩვალნი ქურუნნი—ყველა და ყოველი ნდომის თრთოლამ აიტანა.

სალომე წამს შესდგა და მერმე ისევ განაგრძო. იგი თავდავიწყებით უვლიდა გარშემო ანტიპას, რომელიც სიამოვნებისაგან ჩახლიჩილი ხმით ძლივს სლოკინებდა: — „მოდი, მოდი ჩემთან!..“ იგი კი ისევ ტრიალებდა და დაუ-დაფის ხმისაგან წაქვებული თავდავიწყებას ეძლეოდა. ხალხი ღრიალებდა — ტეტრარქი კი უფრო და უფრო ხმა მალდა ეძახდა:

— „ჩემთან, ჩემთან!.. მოდი!.. შენი იყოს კაპერნაუმი, ტიბერიადის ქალები, მთელი ჩემი ციხე დარბაზნი, ნახევარი ჩემი სამეფო!..“.

იგი უეცრივ ხელებს დაეყრდნო და ვით უხარმაზარი კრაზანა, ფეხებ მალდა აშვერილი გაიარა მთელი ტრიბუნა და შეჩერდა. შავი შალვარი ნელ-ნელ ჩამოცოცდა და თავზე გადაეფინა...

იგი უხმოთ უცქერდა ტეტრარქს, ხოლო იგი ქალს...

ტრიბუნაზე ვილაცამ თითი გაატკაცუნა. სალომე მიიჭრა იქ, მერმე ისევ მობრუნდა და

ბავშვური, მოჩლიქილი ენით წარმოსთქვა:

— მე მინდა, რომ შენ მომცე ხონჩით თავი... თავი—და სახელი ველარ მოიგონა, წუთიც და ღიმილით განაგრძო—თავი იოაკანამისა.

ტეტრარქი მებ-დაცემულივით სარეცელს დაეშვა.

სიტყვა უკვე მიცემული ჰქონდა... ხალხი იცდიდა...

„ვინ იცის—გაიფიქრა ანტიპამ—იქნებ ესაა ის ნამკითხავები სიკვდილი... რომელიც მისი სახით მე შენაცვლება! თუ იოაკანამი მართლა ილიაა, სიკვდილი ვერას დააკლებს მას; თუ არა—მისი დასჯა დიდს არაფერს წარმოადგენს“.

მანაი იქვე იდგა... მან თითქოს გაიგო მისი აზრები და გავიდა. მაგრამ ვიტელიმ უხმო მას და პაემანი გადასცა, რადგან რომის საპყრობილეს ჯარის კაცნი იცავდნენ.

ყველას თითქოს გულზე მოეშვა. წუთიც და მორჩა, მოისვენა. მაგრამ მანაი გვიანობდა...

იგი შემობრუნდა... სახე მთლათ ერთიანათ შეცვლოდა. აგერ ორმოცი წელიწადია, რაც იგი ჯალათის როლს ასრულებდა: მან დაახრჩო არისტოკული, გაგუდა ალექსანდრე, ცოცხლათ დასწვა მატათია, თავი მოჰკვეთა ძოსიმეს, პაპასს, იოსებს და ანტიპატრას... მაგრამ, ვერ შეჰბედა იოაკანამს!

მღელვარებით კბილებს აცემინებდა მას... მთელი მისი ტანი თრთოდა, კანკალებდა.

მან ზედ ორმოს თავზე დაინახა სამართელთა მფარველი ანგელოზი.

ანგელოზი იგი, მთლათ ღია თვალებით დაფარული, საშინლათ ატრიალებდა უშველებელ ძახილს, რომელიც ელვისავით პრილებდა. მანაიმ თან მოიყვანა ორი ჯარის კაცი, მოწმენი სასწაულისა.

მაგრამ მათ განაცხადეს, რომ, ვნახეთ მხოლოდ ერთი ებრაელი მეომარი, რომელიც

ამოღებული დანით გვემუქრებოდა, მაგრამ იქვე მოვუღეთ მას ბოლოო.

გაცოფებული იროდიადა კუთხიდან კუთხეს აწყდებოდა და უზრდელათ იგონებდა. მან სიმწრით ტრიბუნის რიკულზე ფრჩხილები გადაიმტვრია და ისე საზარლათ აღრიალდა, გეგონებოდა, ქალი კი არა, მის გვერდით მდგომმა ნაქანდაკემა ლომებმა ენა ამოიდგეს და ბრღდვინავენო. მაზე უფრო კიდევ ანტიპა ჰყვიროდა. მღვდელნი, ჯარის კაცნი, ფარისევლნი—ყველა ითხოვდა სამაგიეროს გადახდას. დანარჩენნი კი ხელობდნენ, რატომ სიამოვნება არ დაგვცალდაო.

მანაიმ თვალებზე ხელი დაიფარა... და გავიდა!

სტუმარნი მოუთმენლათ ელოდნენ. დრო თითქოს განგებ გრძელდებოდა...

უცბათ ქვედა ხურულებიდან მოისმა ფეხის ხმა. ბრბოს მოთმინება ეკარგებოდა...

და, აჰა შემოიტანეს თავიც. მანაის თმით ეკავა იგი და ამპარტავნულათ დასცქეროდა ბრბოს, რომელიც ტაშის კვრითა და კიჟინით იქაურობას აყრუებდა.

მანაიმ ხონჩაზე დადო იგი და მიართვა სალომეს. იგი ჩქარი ნაბიჯით აიჭრა ტრიბუნაზე და მიიმალა. ცოტა ხნის შემდეგ თავი ისევ შემოვიდა. იგი მოჰქონდა სწორეთ იმ უცნობ მოხუც-დედაკაცს, რომელიც ერთი სახლის ბალკონზე და ძერმე კი იროდიადას ოთახში შეამჩნია ტეტრარქმა. მან უნებლიეთ პირი იბრუნა, რომ თავი არ დაენახა. ვიტელი კი გულცივით უცქერდა მას.

მანაიმ ჩამოატარა იგი საჩვენებლათ. ყველა გულ მოდგინეთ ათვალერებდა მას. ხასრი მახვილი დაკვრის დროს აცურებულყო და ნაწილი ნიკაპისა მოეყოლებინა. უკანასკნელ თრთოლვას უცნაურათ დაედმიქა ჩარბები. ლეკერტი სისხლი ოდნავ შეხმობოდა წვერს. დახუჭული თვალის უპეები ნახათ მიმქრალიყვენ, გარშემო კი სასანთლენი უხვათ აზნევდნ მოციმციმე შუქს.

თავმა მღვდლებამღე მიაღწია. ერთმა ფარსეველმა ცნობის მოყვარეობით გადაბრუნა იგი, მაგრამ მანაიმ ისევ წამოაყენა და ავლს მიართვა. რომელმა შიშით უცბათ დაპრაწა ნამძინარევი თვალები. იოაკანამის ოდნავ გახელილი, მიმქალი თვალის კაკლები გაუსწორდენ ავლისას, თითქოს ერთმანერთს საიდუმლოს რასმეს ანიშნებენო.

მანაიმ მერმე ანტიპას მიართვა იგი; მსხვილი, ანკარა ცრემლები გადმოგორდენ ტეტრარქის თვალებიდან.

ჟინელილ-სანთლები დაჰქრენ. სტუმრები წავიდ-წამოვიდენ—დარბაზში დარჩენ მხოლოდ ანტიპა და ფანუილი. საფეთქლებზე ხელებ მოჰქერილი, ტეტრარქი დაშტერებოდა მოკვეთილ თავს და თვალს ვეღარ აცილებდა, ფანუილი კი დარბაზის შუა ალაგას იდგა უძრავათ და ხელებ გაწვდილი—წყნარათ ლოცულობდა.

ის ის იყო მზე იწვევებოდა, როცა ორი ვინმე, ოდესმე იოაკანამისაგან გაგზავნილი, როგორც იქნა მობრუნდენ და თან მოიტანეს დიდი ხნის ნალოდინევი, სასიხარულო პასუხი.

მათ გადასცეს იგი ფანუილს, რომელიც სწრაფად სასოებაში მოვიდა.

მან მიუთითა მოსულთ ხონჩაზე, ლხინის ნარჩენთა და ნასუფრალთა შორის.

ერთმა მათგანმა წარმოსთქვა:

— ნუ გეშინის! იგი ჩავიდა მკვდართა თანა, რათა მათ ამცნოს მოსვლა ქრისტესი.

ესეველი მხოლოდ ეხლა მიხვდა იოაკანამის სიტყვებს: „რათა იგი აღმალდდეს, მე მიხმს დამდაბლება!“

მათ იიღეს იოაკანამის თავი და სამივენი გაუდგენ გზას ვალილიასკენ. რადგან თავი ძლიერ მძიმე იყო, მგზავრნი, დრო და დრო ერთი ერთმანერთს ენაცვლებოდენ.

პრიტიკა.

„მუდი ქართლისა“, შოქვა ნ. შატათაშვილისა.

(დასასრული)

ამნაირათ, იმ დროს შესაფერი პოლიტიკური ძლიერება ქვეყნისა შეიქნა მიზნო ცხოვრების თვალ საჩინო წარმატებისა, რასაკვირველია. მაგრამ თემურ ლენგის მეთაურობით მონღოლების ოთხჯერ შემოსევამ საქართველოს რისხვა დასცა, შინაურობაშიც ერთმანეთის გაუტანლობამაც თავი იჩინა, ცენტრალიზაციას აზრი შეერყა და საქართველოს „ერთობა“ დაირღვა და დაიშალა. მას აქეთ საქართველოს აღარ აშორებია განსაცდელი...

შემდეგ საქართველოს „ერთობის“ მოსპობისა, მას სრულიათ ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ ეწევა და თავში ცემს სამი ძლიერი პოლიტიკური ძალა: ოსმალეთისა, სპარსეთისა და შერე... რუსეთისა. კახეთის მეფე ალექსანდრე პირველათ მიმართავს რუსეთის დიდ კნიაზს ვასილ III და თხოვს დახმარებას. ეს იყო 1492 წ. *) ამ ჟამის შემდეგ აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთს ექვემდებარება, დასავლეთი საქართველო კი—ოსმალეთს. რუსეთი კი პირველათ ნამდვილის საქმიანობით არ ეკიდებოდა საქართველოს და თავს განზე იქერდა, თუმცა თვალ-ყურს ოსტატურათ ადევნებდა საქართველოს გარეშე და შინაურ მტრების აზვირთებას და რისხვას და თვის სასარგებლოთ იყენებდა. მეტის მეტათ ღრმა დასაფიქრებელი და საყურადღებოა. ამ სამი გარეშე ძალთა ბრძოლა საქართველოს ნიადაგზე. საქართველო ამ დროს დიდს ჯოჯობეთში ჩავარდა. ვახტანგ VI შემწეობას თხოვს საფრანგეთის კაროლს ლიუდოვიკო XIV, რომელსაც დიდი სახელი ქონდა ვავარდნილი მთელს ევროპაში. მეფრამეტე საუკუნის პირველ წლებიდან იწყება მეოთხე ძალის-ევროპის დასავლეთის აზრის დატრიალება ჩვენში, რომლის პირველი გამოხატეული შეიქნა თვით ქართლის სამეფო, ვახტ... ის

*) Brosset. Nist. de la géorg. II partie

ოჯახობა და საბასულხან ორბელიანი. შემდეგ ამ ძალამ საქართველოში შექნა ძლიერი პარტია, რომლის თავს გადასავალი ფრიად საინტერესოა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მკვლევარისათვის... რუსებთან კავშირის დაქვეით ირაკლი II გადამტერა სპარსეთი და ოსმალეთთან ატეხილ იმში გამირულად ჩაერთა. ამ დროს პარიზის პრესამ მთელ ჰეგემონიას აუწყა, რომ ირაკლი ბაგრატიონი რუსეთის ჯარებით სტამბოლს იღებს, არ ეცი, ამ გარემოებამ იმოქმედა, თუ სხვა რამ ინტრიგებმა, რომელსაც ირაკლის წინააღმდეგ ეწეოდა პეტერბურში ცნობილი სომეხთა არქივისკოპოსი (შემდეგში კათალიკოსი) იოსებ არლუთინსკი, ირაკლი მეფეზე ეკატერინე II გული აიკრუა და ვოლტერთან მინაწერ მერვე წერილში მას „ცბიერ ბაგრატიონს“ უწოდებს^{*)}. ამ დროს გაძლიერებული რუსეთი მოაწვა ლეკებს და ოსებს, რომელნიც საქართველოს შემოესიენ. ახლა გარეშე მტერის მოგვრებას და საერთო მამულის შეგლას ვინდა ჩივოდა, როდესაც კერძო ანგარიშით ცხოვრებ ერის წევრთა და წოდებათა შორის დაუძინებელი ბრძოლა და მძულვარება იყო ატეხილი. თავის დაცვის და საომრად გამარაგებულად ყოფნის სურვილმა შეამუშავა ერთთ ცხოვრება, კოოპერაცია, ერთი პოლიტიკური სხეული და რაკი ამ სხეულის წევრთა შორის დაუძინებელი მტრობა ატყდა; დაიშალა ერთობაც, მოისპო პოლიტიკური ყოფა ცხოვრება. გარეშე მტრების მოსაგერებლად შემუშავებული სამხედრო ძალა და ვაშ-კაცობა ორპირული იარაღი გამოდგა; სამს პაწაწინა სამეფოდ გაყოფის შემდეგ ქართველებმა ეს ძალა და იარაღი ერთ-ერთ მანეთს დაატაკეს და ამ უაზრო ბარბაროსულის მოქმედებითა და საქციელით აზრი დაუკარგეს წინედ აღიარებულს სახელმწიფო მოთხოვნილებას. შემდეგ ამ აზრის დავიწყებაში და უყურადღებოდ მიტოვებამ დაარღვია და უძლიერი გახდა საქართველოს ცხოვრება და თვისის გაუგებრობით მის პოლიტიკურს

არსებობას ბოლოც მოეღო...

ეს საყოველთაო მოთხოვნილების, საზოგადო, სოციოლოგიური კანონის გაუგებრობა შეიქნა მიზეზი, უმთავრესად, საქართველოს უბედურებისა და აქ კერძო კაცის სურვილი და ნების ყოფლობა, თუნდაც ეს კაცი ძლევა მოსილის უფლებითა და გენიოსური ნიჭით იყვეს დასაჩუქრებული ბევრს ვერას გახდებოდა...

მაგრამ მკითხველის დასაჯერებლად, მე მინდა ეს აზრი კიდევ ისტორიის მაგალითების მოტანით დავასურათო...

მართალია, უფლებით შექუტვილს პირსა და გენიოსს შეუძლია რამდენათმე და ისიც კოტა ხანს კარზე მოწოლილი უბედურება, კრიზისი შეაჩეროს, მაგრამ მხოლოდ მაშინ; როდესაც იგი მიმხვდარა ისევ მოვლინებათა ზედ-მოქმედების მსვლელობას, გაუგია ცხოვრების აზრი და მოთხოვნილება. ამ აზრის დასამტკიცებლად შეგვეძლო მრავლის უმრავლესი მაგალითი ამოგვეღო ისტორიითგან, მაგრამ საუბარის გაგრძელებისა მეშინია. გენიოსთა და გმირთა მოქმედება, ხასიათი და ცხოვრების მიმართულება დრო-ჟამისა და ცხოვრების მოთხოვნილების საქვეა, და ის აზრები და მოქმედებანი, რომელთაც გენიოსები და გმირნი გამოიჩინენ ხოლმე ცხოვრებაში, მხოლოდ მაშინ შეისხმენ ფრთებს და განხორციელდებიან, როდესაც თვით საზოგადოებას და ხალხს თვისი ნიჭითა და მიხვედრილობით შეუგნია, დაახლოვებით მაინც შეუთვისებია ეს აზრები. ყოველს დროს სხვა და სხვა ნიჭის, სხვა და სხვა ტვინის აღამიანები იბადებიან, მაგრამ მხოლოდ იმ ნიჭისა და ხასიათის მექონე აღამიანი მოიტანს თვალსაჩინო ნაყოფს, და გახდება თავზე დატეხილი უბედურების მონაწილე. საზოგადო მოღვაწე კარგის, ბოროტისა თუ კეთილის მოქმედებისათვის საზრდოსა და ნი-დაგს თვით ცხოვრებაშივე პოულობს. ძლევა-მოსილი არმია პირველი რესპუბლიკისა ნაპოლეონ პირველმა ევროპას და ეგვიპტეს შეასია, რა თქმა უნდა, ფრანკულეებმა ხომ ამით თითონ შექნეს თვისი ნაპოლეონი.

^{*)} იხ. Вугрова, материалы для истории Грузии.

ჩვენ ნაპოლეონის ამბავი მისი დასამტკიცებლათ მოვიყვანეთ, რომ აღნიშნულს დროს დაიბადა მოთხოვნილება ამ გვარი მოქმედებისა და ამ მოთხოვნილების განხორციელებას შეძლებისა და გვარად ემსახურებოდა ისეთი კაცი, რომელსაც ამისი შესაფერი ნიჭი და შეძლება ჰქონდა... მეფე-რამეტე საუკუნის უკანასკნელს ნახევარში საქართველოში დაიბადა მეფე ირაკლი II, რა თქმა უნდა, გმირი და სახელ-განთქმული მეთამარი, რომელმაც დიდი ხნის სურვილი და მოთხოვნილება უკეთესი ქართველებისა ძალაში მოიყვანა და თავი ისახელა, მაგრამ იმდენს ხანს საზოგადო კანონის დავიწყება მრავალგვარად დატანჯულს ერს მაინც ძვირად დაუჯდა და მოხუცებული მეფე სიცოცხლეშივე დაიტანჯა და წელი ჩაწყდა. სხვა და სხვა აზრებსა და ინტერესებზედ გულ გადაღეულნი შინაური არეულობით დაუძლეურებულნი წევრნი ერისა განსაცდელს ვერ უმაგრდებიან და გუშინდელი გმირიც, მეფე ერეკლე ნიადაგს ტოვებს, საშინელი, გამოუთქმელი სულიერი ბრძოლა მას მთიულეთში გულს უღადრავს და... იტანჯება. იმის აღვიღოს იქერს გიორგი XIII, მაგრამ ტყვილად... „დიდი ხანია—გებდავ დაუეწიარი პოეტის სიტყვების შეცვლას—ისტორიას გადაეწყვიტა ბედი ქართლისა“...

ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთხელ კიდევ მიუბრუნდება „ივერიის უკანასკნელს სიმტკიცის სულის“, გმირის ირაკლის აჩრდილს, მაგრამ აქ დამუნჯებულის სასაფლაოს არემარე სულ სხვა ფიქრს, სხვა აზრს მობერს ჩვენ პოეტს. იმისი უმანკო წმინდა სული საყვედურისა და ჩივილის მაგიერ, ნუგეშისა და სიხარულის სხვებს მოუცვავს და იგონებს ირაკლის „ნაინდერძებს წინასწართ თქმულს“, ე. ი. შორს მქვრეტელ და ბედნიერ აზრად მიიჩნია ის აზრი, რომლითაც გამსჭვალული იყო მთიულეთში მეფის გრძნობა-გონება საქართველოს მომავალი ცხოვრების თაობაზე. პოეტი ხედავს, რომ ძველი დრო შეუცვლია ახალს დროს; ახალმა დრომ დაბადა ახალი მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილებამ გამოიწ-

ვია ახალი ცხოვრების შესაფერათ ნიჭი და ძალა. მას უხარია, რომ აღსრულდა ირაკლის განზრახულება და ამბობს:

„უამთ ვითარებით გარდახვეწილთ შენ შეილთ მიდამო

მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო

მათი ცხოველი, ტრფილებით აღსავსე სული უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა განცეცხლებულ

და მუნით ჰხიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,

მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალად ერთი ათასად“...

პოეტი ჩამამავლობის მაგიერად მადლობას სწირავს მეფეს ირაკლის, რომ მან სიკვდილის უამს ასე ბრძნულად უწინასწარმეტყველა „დაობლებულს ქართლს“ და შეჰხარის, შესტრფის ამ ახალს განათლების დროს. პოეტი იმ პატიოსანი აზრით ცხოვრობს, რომ „შავი ზღვის ზვირთნი მოსისხლე მტერთა ნაცვლად მოკვიგვიან განათლებულს ჩვენ მოძმეთა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი რომ შესწრებოდა 50 და 60-იან წლებს, იმ წლებს, როდესაც რუსეთსა და ჩვენში პირველად გაისმა საკაცობრიო ხმა დატყვევებისა და მონობის „ბორკილის დასამსხვრელად“, ამუშავდა მოქალაქობრივი ტვინი, რასაკვირველია, „მამების“ რაზმში არ ჩადგებოდა და გულ-მხურვალედ, ალტაცებით გაუშვერდა თანაგრძნობის ხელს კეთილ-შობილი შვილების შეუპოვარსა და მადლიან აზრს. ეს უკანასკნელი ლექსი აკავშირებს ნ. ბარათაშვილის დროს ილია ქავჭავაძის დროსთან, რომელმაც თავის პოეტს ათქმევინა:

„მას ნულა ვსტირით, რაც დაკარგულა,

რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა-

ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

მაგრამ ამ ბრწყინვალე განათლების დროს ვერ შეესწრო უდროოდ მოტაცებული ნიკოლოზ ბარათაშვილი და 60-იან წლების პატიოსან ქაბუკთა კრებულს მოაკლდა ერთი უნიკიერესთაგანი მოღვაწე. ამიტომაც ასე

მწარედ დასაწინებელი იყო იმისი სიკვდილი და ჩვენი დროის პოეტმა ნაღელიანად ამოიკვნესა:

რაოდენთ იმედო და ნუგეშთა კოკრად
ყვაეილნი
ჩასკენენ შენს გულში განუშლელად,
ევრე უდროოდ?..

როგორც ხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილი მოელს თვის ქვეყნის ნიადაგს დასტრიალებს, თვისი მშობელი მიწა-წყლისა და ხალხის წარსულს და აწმყო ცხოვრებაზე ფიქრობს.

იგი ეკუთვნის იმ მწერალთა გუნდს, რომელთა დიდი ნიჭი და მდიდარი წარმოდგენა გარემოებამ მოაცილა განათლებულ ერთა მღელვარე ცხოვრებას და მხოლოდ მშობელი ერის წარსულს და აწმყო ყოფა-ცხოვრების მდგომარეობას აუჩინა ჭირისუფლად. ამ გვარ მწერალთა გუნდს, შეიძლება, ვუწოდოთ „ნაციონალური გუნდი“. მაგრამ ეს სიტყვა ორ-აზროვანია და გვეშინია, რომ მკითხველს გზას დაუბნევს. ავიხსნათ. არიან ისეთი მწერალნი და მოღვაწეები, რომელნიც თავ-თავის საკუთარს ხალხის და ისტორიის ვიწროდ შემოსაზღვრულს ნიადაგზე დგანან და ისე მოქმედებენ წინ მსვლელობისა და წარმატებისათვის ისინი უფრო ეროვნულს კითხვებს ეხებიან, მშობელი ქვეყნის საჭირ-ბოროტო საქმეებს უკვირდებიან და მოთქმის ტირილით, თუ მხიარულის სიცილით აღვიძებენ მოძმეთა გრძნობა-გონებას. ამ გუნდის მოღვაწეთაგან გამოდიან ის იშვიათი, დიდი და სახელოვანი პირნიცა, რომელნიც, როგორც პირველნი, საკუთარი ერის ნიადაგზე დგანან, მაგრამ თავიანთი ძლიერი ნიჭისა და საოცარი ხასიათის წყალობით, თვ-სი ხალხის ფიქრთა და აზრებს იმდენად უფართოვებენ, უგანიერებენ სარბიელს, რომ ამთვისი ქვეყნის მოქალაქეთა ფიქრს და აზრებს საკაცობრიო, ერთა საზოგადო მნიშვნელობას და ღირსებას ანიჭებენ. ეს უკანასკნელნი მეორე ტიპის მოღვაწეებად ვიგულისხმობთ. არიან კიდევ ისეთი მოღვაწენი, რომელნიც თვისი გრძნობების და აზრების განხორციელებას არ უსაკუთრებენ ერთს რომ-

მელსამე აღნიშნულს დროს, ერთს რომელსამე აღნიშნულს ერის ცხოვრებას, შედარებით, უყურადღებოდ,—ასე ვთქვათ,—განზე სტრუქტურენ ეროვნულს ნიადაგს და მთელის თავიანთის არსებითა და ბუნების შინაარსით სწვდებიან სივრცისა და დრო-ვამის განუსაზღვრელს მოვლინებათა კატეგორიას, ევრე წოდებულ, „ინტერნაციონალურ“ საკითხთა აზრებს და მთელი კაცობრიობის ცხოვრების საკცევებს ეტანებიან.

სამივე ტიპის მოღვაწენი იბადებიან ცხოვრებაში და ჩნდებიან ლიტერატურატურაშიაც. ჩვენი ცხოვრება ისე გააღაჩრეს, რომ გენიოსთა გაჩენაზე ლაპარაკი სულ მეტია. ლიტერატურაში თითოელს განათლებულს ერს თვისი საკუთარი მოღვაწენი, წვერალნი და პოეტები ყავს და ისინი პირველს კატეგორიას ეკუთვნიან. გეტეს, შილლერის, გეინეს მსგავსი დიდი პოეტები მეორე კატეგორიას ეკუთვნიან. უდიდესი პოეტნი, საქვეყნოდ სახელ-განთქმულნი შექსპირი და ბაირონი მესამე კატეგორიის მოღვაწეთა გუნდს ეკუთვნიან, იმიტომ რომ იმათი მძლავრი, თითქმის საზღვარ დაუდებელი პოეზია და მოქალაქობრივი ღვაწლი წმინდა „ინტერნაციონალური“ ხასიათისა არის. ჩემს აღსნას, რა თქმა უნდა გარდაწყვეტილი (აბსოლიუტური) მნიშვნელობა არა აქვს, და მკითხველს უმდაბლესათ ვთხოვ, რომ მას ფრთხილათ ფარგალი შემოუსაზღვროს და ისე პირობით მიიღოს.

ხომლედი.

ქვირილამ კვირობამდე.

გაზ. „კავკაზი“ გაზ. „კოლთაქალის“ სიტყვით გადმოგვცემს შემდეგ დეკლარაციას: „მოსკოვში შემდგარ ინტელიგენტთა სარწმუნოებრივი წრე, რომელიც არაერთი განიხილვა ცნობილ ხელისუფლების სექტისაგან. მათი შესაკრებელი ადგილი არის თურმე ერთი ცნობილი თავადის სახლი. კრებუბზე მსურველე მონაწილეობას ღებულამს თვით მასმინსელიც. შესულა შესამდგურელა წარბაითი“

ნიშნებით: ეს ნიშნები მამაკაცთათვის უელსხევეში იმალება, ხოლო ქალთათვის გულის ქინძისთავია და ბროშის ადგილი უჭირავს. ამ „ხომალდში“ (ე. ი. შესაკრებელ სახლში) აკრიბებენ განსაკუთრებით ინტელიგენტია. საზოგადოების უველა მთავრის თავის უელური მსახურების დროს თეთრი ზერანგი აცვია, ხელში ბზის ტოტი უჭირავს და ისე ბრუდ-ტრაილებს და ცეკვავს. შემდეგ იწეობა „წინასწარმეტყველება“ მისი, ვისაც იგი თავს „დაეცა“; მღერის განსაკუთრებულ საგალობლებს. კრებაში მონაწილეობას ღებულობენ მთელი წინასწარმეტყველები. „ხომალდში შესულა“ (ე. ი. ჩარიცხვა) განსაკუთრებული წესრიგით ხდება: მსურველი ჯერ წინასწარმეტყველს ეძღევა „გამოსცდელად“. როცა ამ „განსაცდელს“ გაივლის, მას ნება ეძღევა კრებაზე დასწრებისა, მაგრამ ჯერ კიდევ მხოლოდ როგორც გარეშე მსურველებს. შემდეგ მასზე წინასწარმეტყველება უნდა იქნეს, მიიღონ თუ არა? თუ წინასწარმეტყველმა დასტური მისცა, საჭიროა ვიდრე თავლები, რომელიც უნდა იქნეს უთუოდ „ხომალდის“ წევრთაგან, მხოლოდ მაშინ შეუძლია მას გახდეს სრულყოფილი წევრად. მესამე კრებაზე დასწრების შემდეგ, მას უნიშნავენ „სულიერ მეუღლეს“ და ამის შემდეგ „ხომალდის“ სრულ წევრად ირიცხება ხომალდის ძეგები და დეგები მოიკითხავენ ხელმე ერთმანეთს ამხარად: „ქრისტე ბათუჟა ადსდგა! - შორე უმასუხებს: „ტემპარატად წმინდა მაცხოვარი ადსდგა“.

გასაკვირვალა, რომ ძეგები გარეგნულად მტკიცედ იტყვენ მართლმადიდებლობას. სად არ სუფევს ინტელიგენტთა შორის „ხლისტაუშინა“?... მხოლოდ ასეთი ორგანიზაცია არ აქვს ევროპაში....

ამ კომისიის წევრად, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს ჩვენში ერობის შემოდების საკითხი, სასულიერო წოდების მხრიდან დაინიშნა ქვაშოეთის ეპისკოპოსის დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე.

ხმებით, რომ სემინარიის ძეგლს შენობას სამხედრო უწყება ქრისტის ჯარისთვის კახარმად.

შწ. სინოდის თბერ პროკურორის ტელეგრამით დასჯენი მოუთხოვია სინოდის კანტორისთვის მღე-

დლის ილ. გქელიშვილის საქმის თაობაზე, თანახმად ამ უკანასკნელის სწიერისა. ეს ის მღვდელი გქელიშვილია, რომელსაც ამას წინათ ჯიბიდან ექვსი ათასი მანეთი თბილისის საეპარქიო სინოდის ქარხნის საკუთრება ამოცნალებს, როგორც თვით გქელიშვილმა განაცხადა ეს.

— 23 ეკენისთვის თფილისიდან ჩამოვიდა საეკლესიო სკოლების ოლქის მეთვალყურე ბ. ოლოვი. ბ. ოლოვის მიზნად აქვს გამოარკვეოს იმერეთის სამოსწავლეობა საბჭოსა და ბ. იმერეთის მეთვალყურის შორის ამტყდარი განხეთქილება. საოლქო საიტა. ოლოვი ბ. ჟორდანის მოთხოვნით გამოუგზავნია.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მგელიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

ქ. ქუთაისში ვაზაკოვის ქუჩაზე სახ. № 17,
გაიხსნა პირველი ქალთა ოთხკლასიანი

პროგიმნაზია

სახელოსნო განყოფილებით,

სადაც საწარმოებში საცნებს კარდა ასწავლიან ჭრასკერფს, ხალები, ფარდაცების, ჩულები, ტილოების და მიტკლები ქსოვას, ბამბაკების კერვას და სხ.

წლიური ვადისახალი პროგიმნაზიაში 30 მან., სახელოსნო განყოფილებაში 40 მ.
პროგიმნაზიულ კლასებში მოსწავლე ქალები კურსის დამთავრებისთანავე ათავებენ სახელოსნო განყოფილებაში.

სასწავლებელმა უკვე დაიწყო მოწაფეების მიღება როგორც პროგიმნაზიულ კლასებში, ისე სახელოსნო განყოფილებაში.